ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N12

2022 წლის 29 აპრილი

ქ. ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ

საქართველოს კანონის ,,საქართველოს 2022 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 61-ე მუხლის და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 06 აპრილის N114-11422096191 მომართვის საფუძველზე:

1.შეთანხმებულ იქნას ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობა 16 (თექვსმეტი) ერთეულით თანდართული დანართის შესაბამისად;

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N01 განკარგულება;

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ.წულწკიძე);

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე დ.მჭედლიშვილი

საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახური

N	თანამდებობა	რაოდენობა
1	მერის თანაშემწე	1
2	მერის თანაშემწე შ.შ.მ საკითხებში	1
3	მდივან-რეფერენტი	1
4	კომპიუტერული ტექნიკის მომსახურეობის საკითხებში	1
5	ტექნიკურ უზრუნველყოფის საკითხებში	1
6	მთავარი სპეციალისტი მერის წარმომადგენელთა კოორდინაციის განყოფილება	1
7	ადმინისტრაციულ სამსახურში ადმინისტრაციულ ერთეულებთან ურთიერთობის საკითხებში ტექნიკური-ორგანიზაციული ხელშეწყობის მიზნით	2
8	მძღოლი	1
9	დამლაგებელი	3
	ჯამი	**12**

საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის სამსახური

1	ინჟინერ-კონსტრუქტორი	1

საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

1	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში	1

საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური

N	თანამდებობა	რაოდენობა
1	დარაჯი	1
2	დამლაგებელი	1
	ჯამი	**2**